~~პროლეტარიანებო ერთმანეთისა, შეუერთდით!~~

კომუნისტი

1980 წელი
პარასკევი
18 იანვარი
№ 14 (17659)
ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ლენინურ შრომითს ვახტაზე

მეტი შემართებით

ტყიბული. (საკ. კორ. ვ. ცირეკიძე). კომკავშირული შატის კოლექტივმა თვალსაჩინო შრომითი მაჩვენებლებით დაამთავრა გასული წელი, მომხმარებელს გაუგზავნა 21 სარკინიგზო ეშელონი ზეკემთი საკოქსე ქვანახშირი. სავრძნობლად შემცირდა პროდუქციის თვითღირებულებაც; ახლა თითოეული ტონა ქვანახშირის ამოღება საწარმოს მანეთითა და 38 კაპიკით იაფი უჯდება. მარტო ამ გზით 42 ათასი მანეთი დაიზოგა.

კიდევ უფრო დიდი აღმავლობით შრომობენ მეშახტეები ახალი სამეურნეო წლის პირველ დღეებში. მზადდება და პირველი კვარტალის ბოლოს ამოქმედდება ახალი სამთო ველი, იგი საშუალებას მიხცემს მეშახტეებს ქვანახშირის ამოღება შარშანდელთან შედარებით 60 ათასი ტონით გაზრდონ. წელს შახტში შეიქმნება საექსპერიმენტო უბანი, რომლის კოლექტივმაც უნდა გამოცადოს და წარმოებაში დანერგოს ქვანახშირის მექანიზებული კომპლექსი.

კომკავშირული შახტის მუშამოსამსახურეები ქალაქის სამრეწველო საწარმოთა შორის პირველნი დადგნენ შრომითს ვახტზე ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთვის ღირსეულად შეხვედრისათვის.

ახალი პროდუქცია

საჩხერე (საკ. კორ. ო. ნიკაბაძე). საკონსერვო ქარხანაში დაინერგა ვაშლის ექსტრაქტის, მანდარინის ფურნის და წვენის დამზადების ტექნოლოგია. ახალი პროდუქციის პირველი პარტია უკვე მიიღო და მოიწონა მომხმარებელმა.

მაღაზიის თაროებზე ვერ ნახავთ ჩაწოლილს საჩხერეში გამოშვებულ ასკილის წვენსა და ქლიავის ჯემს. მეორე წელია ქარხანა ამ ნაწარმს სახელმწიფო ხარისხის ნიშნით უშვებს.

ასორტიმენტთან ერთად იზრდება წარმოების მოცულობაც. ხუთწლედის მეოთხე წელს მეკონსერვეებმა 3.834 ათასი მანეთის პროდუქცია დაამზადეს, რაც გეგმას მნიშვნელოვნად აღემატება.

ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავისთვის მეკონსერვეებმა გადიდებული ვალდებულებები იკისრეს და მის შესასრულებლად დამკვრელურად შრომობენ.

სამშობლოდან მოშორებით

ბათუმი. (საკ. კორ. მ. გორგილაძე). სამშობლოდან დიდი მანძილის მოშორებით საქართველოს საზღვაო სანაოსნოს გემების ეკიპაჟები გაორკეცებული ენერგიით შეუდგნენ მეათე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის დავალებათა შესრულებას. ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთვის ღირსეულად შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში წარმატებას აღწევს ტანკერ „საბჭოთა საქართველოს ორმოცდამეათე წლისთავის“ ეკიპაჟი. ტანკერის მეზღვაურებმა „არგი სფუძველი შექმნეს მიმდინარე წლის გეგმის ვადამდე შესასრულებლად. შარშანდელ გეგმას მათ 20 დღით ადრე გაართვეს თავი, დაზოგეს 460 ტონა სათბობი, 670 კილოგრამი ტექნიკური ზეთი და საკუთარი ძალებით შეასრულეს 22.300 მანეთის სარემონტო სამუშაოები.

ასევე ვადამდე უპატაჟა სამშობლოს ხუთწლედის მეოთხე წლის დავალების შესრულება ტანკერ „გიორგი ლენინძის“ ეკიპაჟმა. მან გეგმის გადამეტებით 1260 ტონა ტვირთი გადაზიდა და სრუტეების ულოცმანად გავლით 37.000 მანეთი დაზოგა.

მთელი მონდომებით

გორის რაიონის მშრომელთა სოციალისტური ვალდებულებები 1980 წლისათვის

სოფლის მეურნეობა: განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციას, მზარდი ინდუსტრიული კომპლექსის შექმნას, საკოლმეურნეობათაშორისო კოოპერაციისა და კონცენტრაციის, წარმოების კულტურისა და შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის აღმავლობას, სოფლად მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას. პროგრესული ტექნოლოგიური მეთოდების, ქიმიზაციისა და ფართო მელიორაციის დანერგვით 1980 წელს შარშანდელთან შედარებით 10 პროცენტით გაზრდიან სოფლის მეურნეობის პროდუქციის მთლიან მოცულობას.

საზოგადოებრივ სექტორში გაადიდებენ ჰექტარობრივ მოსავლიანობას: მარცვლეულისას — 24 ცენტნერამდე, ყურძნისას — 45 ცენტნერამდე, შაქრის ჭარხლისას — 425 ცენტნერამდე, ბოსტნეულისას — 125 ცენტნერამდე.

გორის რაიონის მშრომელები ვარაუდობენ, რომ თითოეულ ჰექტარზე მოიყვანენ 60-65 ცენტნერ ხიზილ, სახელმწიფოს გადაჯარებებით მიჰყიდიან 170 ტონა მარცვლეულს, 200 ტონა ბოსტნეულს, 1000 ტონა შაქრის ჭარხალს, 200 კილოგრამ აბრეშუმის პარკს, 100 ტონა ყურძენს, 50 ტონა ხორცს, 200 კილოგრამ მატყლს, 150 ტონა ხიზილ.

თითოეული ფფურის საშუალო წველადობას გაადიდებენ 2.250 კილოგრამამდე. ყოველ 100 ძროხაზე მიიღებენ 80-ის ნაცვლად 82 ხბოს, ყოველ 100 ნერგზე 85-ის ნაცვლად 86 ბატკანს, და თითოეულ ნეზზე 10,5-ის ნაცვლად 11 გოჭს.

„საქსასოფლტექნიკის“ გორის რაიონულ გაერთიანებაში გეგმის გადაჭარბებით იქნება რეალიზებული 4.800.000 მანეთის პროდუქცია, საქონელბრუნვა გაიზრდება 5 პროცენტით.

ხუთწლედის დამამთავრებელ წელს რაიონის მექანიზატორთა ვალდებულებაა მოხნან 400.000 ჰექტარი გეგმით გათვალისწინებული 380.000-ის ნაცვლად, დაზოგონ 80 ტონა საწვავ-საპოხი მასალები, 2 პროცენტით გაზარდონ შრომის ნაყოფიერება.

მრეწველობა: განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებას. ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთვის დღისათვის შეასრულებენ მიმდინარე წლის ოთხი თვის დავალებას, ხოლო წლიურ გეგმას გაანაღდებენ 26 დეკემბრისათვის.

წისქვილკომბინატი წლიური დავალების გადაჭარბებით გამოუშვებს 430 ათასი მანეთის საერთო პროდუქციას. წლიური გეგმის 21 დეკემბრისათვის შესრულება იკისრეს „სამტრესტის“ გორის ღვინის ქარხნის მშრომელებმა. მათ პირობა დადეს, რომ გამოუშვებენ 6.400.000 მანეთის პროდუქციას გეგმით გათვალისწინებული 6.350.000 მანეთის ნაცვლად და 423 ათასი მანეთის ხარისხისწინაშნიან პროდუქციას 420 ათასი მანეთის ნაცვლად.

ტრანსპორტი: საავტომობილო ტრანსპორტი წლიური გეგმის გადამეტებით გადაზიდავს 5000 ტონა ტვირთს. ავტოპარკის მზადყოფნის კოეფიციენტი ამაღლდება 2 პროცენტით, გამოყენების კოეფიციენტი კი 90-ის ნაცვლად 98 პროცენტს მიაღწევს.

ვალდებულებები მიღებულია გორის რაიონის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე.



ფ. კრიმსკის და გ. ბერსამიას ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ზუგდიდელთა დელეგაცია ტალალაევკაში

ზუგდიდი. (საკ. კორ. გ. ნოდია). 16 იანვარს უკრაინის სსრ ჩერნიგოვის ოლქის ტალალაევკის რაიონში პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე დასასწრებლად გაემგზავრა ზუგდიდელთა დელეგაცია. ისინი იქ შეაჯამებენ 1979 წლის სოციალისტური შეჯიბრების შედეგებს და გააფორმებენ მეათე ხუთწლიან „სოფლის“ რედაქტორი ი. ქორთუა, კახათის მარქვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე დ. გუგუჩია, ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სოციალისტური შრომის გმირი ვ. მეუნარგია, რუხის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ზ. თოდუა.

უკრაინა — საქართველო

წლედის დამამთავრებელი წლის სოციალისტურ ვალდებულებებს.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის რაიკომის პირველი მდივანი ი. თოდუა (ხელმძღვანელი), რაიონულ გაზეთ „მებრძოლის“ რედაქტორი ი. ქორთუა, კახათის მარქვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე დ. გუგუჩია, ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სოციალისტური შრომის გმირი ვ. მეუნარგია, რუხის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ზ. თოდუა.

დელეგაციის ხელმძღვანელმა, პარტიის ზუგდიდის რაიკომის პირველმა მდივანმა ი. თოდუამ თქვა: ტალალაევკელთა და ზუგდიდელთა მეგობრობას დიდი ხნის ისტორია აქვს. სოციალისტური შეჯიბრება ხელს უწყობს სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა სახახელოდ შესრულებას. შედეგებიც სახეზეა, ორივე რაიონი ყოველ წელს დიდ წარმატებებს აღწევს.

ზუგდიდელთა დელეგაცია ტალალაევკაში რამდენიმე დღეს დარჩება და მათ მუშაობას გაეცნობა.

საკავშირო თათბირი

მოსკოვში გაიმართა კავშირგაბმულობის ხელმძღვანელ მუშაკთა საკავშირო თათბირი, რომელზეც განიხილეს, თუ როგორ სრულდება სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე ამოცანები.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა კ. უ. ჩერნენკომ.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის კავშირგაბმულობის მინისტრი ნ. ვ. ტალიზინი და სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკები.

(საკლესი).

კ. ვ. რუსაკოვი მოსკოვს დაბრუნდა

სოფია, 17 იანვარი. (საკლესი). დღეს აქედან მოსკოვს გამოემგზავრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. ვ. რუსაკოვი, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ადგილობრივი ორგანოების ხაზით მეგობრული ურთიერთობის განვითარების საკითხებისადმი მიძღვნილ თათბირში მონაწილეობდა.

ამავე დღის კ. ვ. რუსაკოვი მოსკოვს ჩამოვიდა. აეროდრომზე მას დახვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. ვ. კაპიტონოვი და სხვები.

შეხვედრა სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

16-17 იანვარს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის, ვიეტნამის კომუნისტური პარტიის, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის, კუბის კომუნისტური პარტიის, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის, რუმინეთის კომუნისტური პარტიის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის წარმომადგენელთა სამუშაო შეხვედრა.

შეხვედრის მონაწილეებმა აზრი გაუზიარეს ერთმანეთს XXII ოლიმპიადის ასპარეზობისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ, განიხილეს საინფორმაციო მუშაობის საკითხები, ეწვივნენ მოსკოვის მთელ რიგ ოლიმპიურ ობიექტებს.

პოლონელი მინისტრის ვიზიტი

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. ვოიტაშეკმა 16 იანვარს საუზმე გამართა. საუზმის დროს ე. ვოიტაშეკმა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ მეგობრული საღამოგამოლოცვა წარმოთქვეს.

საბჭოთა კავშირის მხრივ საუზმეზე იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, რუსეთის სფსრ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მ. ს. სოლომენცევი, სსრ კავშირის მინისტრები და სხვა ოფიციალური პირნი.

პოლონელი მინისტრი გაეცნო „ოლიმპიადა-80“-ის ობიექტებს.

(საკლესი).

ლენინიზმის შემოქმედებითი განვითარება

ჩვენი ხალხის დღევანდელი მიღწევები ლენინიზმის საქმის [illegible] დიდი ლენინის იდეათა პრაქტიკული [illegible] ... ლენინიზმი [illegible] ... ისტორიულ-პოლიტიკურ ქმედებაზე „ლენინის საქმე ცოცხლობს და იმარჯვებს“, რომელიც მოეწყო მოსკოვში 15 იანვარს და მიეძღვნა ბელადის დაბადების 110-ე წლისთავს.

კითხვა მოაწყვეს სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტმა, საკავშირო პროფსაბჭომ, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტმა, სრულიად საკავშირო საზოგადოება „ცოდნის“ კამეჩოებამ.

კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში შეკრებილებმა მოისმინეს სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიის რექტორის, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის ვ. ა. მედვედევის მოხსენება „მეურნეობის მეცნიერული ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპები და პარტიის მიერ მათი შემოქმედებითი განვითარება თანამედროვე პირობებში“.

კითხვაში მონაწილეობა მიიღო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ვ. გრიშინმა.

„კომუნისტის“ საგუშაგო ბაგა-ბაღების მშენებლობაზე

კვლავ ფერხდება

ბავშვის საერთაშორისო წელს ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში ბევრი ახალი საბავშვო ბაგა-ბაღი აშენდა, მნიშვნელოვნად გაფართოვდა სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დაწესებულებების ქსელი, გაუმჯობესდა მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და მუშაობის პირობები, მაგრამ ამ საქმეს ყველგან როდი მოეკიდნენ ჯეროვანი პასუხისმგებლობით.

ახალციხის, ადიგენისა და ასპინძის რაონებში ბაგა-ბაღების მშენებლობა ერთგვარად დაჩქარდა, ოღონდ ზოგიერთ სოფელში მშენებლობის ტემპი კვლავ არადამაკმაყოფილებელია.

„კომუნისტის“ საგუშაგო ბაგა-ბაღის მშენებლობაზეც. აქაც მშენებლობის ფიდი გაჭიანურებულია შემდეგ, როგორც იქნა, გადახურეს სამეფლი კორპუსი და სამზარეულო. ახლა შიდა სამუშაოები მიმდინარეობს — იატაკის დაგება, გატხეტრა და სხვა. კოლმეურნეობის თავმჯდომარის ა. ველოჯანაშვილის ნათქვამს თუ ვიტრწმუნებთ, ხიზაბავრელები გაჯსაც მალე შემოზიდავენ და აღარც კედლების შელესვას დაავიანებენ, თუმცა წყალგაყვანილობის და გათბობის ქსელის დამონტაჟება აქაც შეჩერებულია.

ახალციხის რაიონის სოფელ მუსხის კოლმეურნეობის საბავშვო ბაღის მშენებლობაც, რომელიც ჯერ კიდევ 1977 წელს დაიწყეს, დასასრულს უახლოვდება და აქაც ისეთივე ნაკლოვანებებია, რომლებიც ზემოთ აღვნიშნეთ.

ცენტრალური გათბობის გარეშე ამ რაიონების საბავშვო ბაღები მკაცრი ზამთრის პირობებში ნორმალურად ვერ იმუშავებენ.

სანტექნიკური საშენი მასალების მოუმარაგებლობის გამო ბაგა-ბაღის მშენებლობის დამთავრება სოფლად ძალიან ჭიანურდება. ამ მხრივ, სოფლის მშენებლობებს მეტი ყურადღება და დახმარება სჭირდებათ.

ო. თათეიშვილი,
კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობის სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე;
თ. აკოფაშვილი,
საბავშვო ბაღის გამგე;
შ. მაისურაძე,
გაზეთ „კომუნისტის“ საკ. კორ.

ზუსტი და დისციპლინა

● ოთხწლეულის გადასახედიდან ● ნაკლოვანებათა „გეოგრაფია“ ● ავამაღლოთ სამეურნეო მექანიზმის ქმედითობა

ილია ჭავჭავაძე ამბობდა: „ვინც ორი მარცვალი მოიყვანა იქ, საცა მანამდე მარტო ერთი მარცვალი მოდიოდა, იგი ეროს უდიდეს სამსახურს უწევს კაცობრიობას“.

დიდი ილიას სიტყვები იმიტომ კავიხსენეთ, რომ წლეულს საქართველოს მრეწველობის მუშაკებს მოუწევთ ურთულესი ამოცანის გადაწყვეტა — უნდა მივიღოთ მრეწველობის პროდუქციის აბსოლუტური მატება 690 მილიონ მანეთამდე. ეს აუცილებელია მეათე ხუთწლედისათვის დასახული სამრეწველო წარმოების 41 პროცენტის ოდენობით მატების ტემპის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია საბჭოთა საქართველოს — საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში ექვსგზის გამარჯვებული რესპუბლიკის პრესტიჟისათვის.

ვიდრე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის ამოცანებს უფრო დეტალურად შევეხებოდეთ, მოდით, ოთხწლეულის გადასახედიდან შევავლოთ თვალი მიღწეულს, გავიხსენოთ, როგორი იყო შარშანდელი წლის ინდუსტრიული „მოსავალი“.

რაოდენობაც და ხარისხიც! ამ ლაკონიური, სათქმელად იოლი, მაგრამ შესასრულებლად ერთობ ძნელი ამოცანის განხორციელება მხოლოდ მაღალორგანიზებული შრომით შეიძლებოდა. **სწორედ მაღალორგანიზებული შრომის, უდიდესი პასუხისმგებლობის, პოლიტიკური და სამეურნეო აქტიურობის შედეგი გახლავთ ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულთან შედარებით ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და რესპუბლიკის ტერიტორიაზე წარმოებული ეროვნული შემოსავლის, მრეწველობის პროდუქციის მოცულობის უფრო მეტად ზრდა.**

საგანგებოდ უნდა ითქვას პროდუქციის ხარისხობრივი სრულყოფის თაობაზე. შარშანდელ ათასზე მეტი ხარისხისწინაშნიანი ნაწარმი გამოუშვეთ — 8-ჯერ მეტი 1975 წელთან შედარებით. თუ მეათე ხუთწლედის დამდეგს ამგვარი პროდუქციის ხვედრითი წონა 2,1 პროცენტს არ აღემატებოდა და თითქმის ყველა მოკავშირე რესპუბლიკას ჩამოვრჩებოდით, ახლა მისმა ხვედრითმა წონამ 18 პროცენტს გადაამეტა.

რესპუბლიკის ეკონომიკური პოტენციალის ზრდის ფაქტორებიდან უნდა გამოვყოთ შრომის ნაყოფიერებისა და ფონდუკოეფიციენტის გადიდება, მასალატევადობის შემცირება.

რესპუბლიკის მშრომელთა ყველა მიღწევას ჩვენ კარგა ხანია საქართველოს სახალხო მეურნეობის დაჩქარებული განვითარების გრძელვადიანი პროგრამის შესრულების თვალსაზრისით გავიხილავთ. **ხუთწლედის განვლილ ოთხწლეულში საშუალო საკავშირო დონესთან რესპუბლიკის ეკონომიკის განმაზოგადებელი მაჩვენებლების სულ უფრო მზარდი ტემპით მიახლოება საქართველოს სახალხო მეურნეობის წარმართვის სწორ სტრატეგიასა და ტაქტიკაზე მიანიშნებს.**

ორიოდე სიტყვა შარშანდელი წლის შედეგებზე. თუ შარშანდელი წლის დამდეგს ინდუსტრიის მუშაკთა მიერ ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებებისა და შემხვედრი გეგმების უმთავრეს პუნქტებს მისხალ-მისხალ შევაჯერებთ მიღწეულთან, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ინდუსტრიის მუშაკებს სიტყვა არ გაუტეხიათ. სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობის ზრდის ტემპმა შეადგინა 107,2 პროცენტი, **შრომის ნაყოფიერების შარშანდელი ზრდის ტემპი ხუთწლედის ყველა ადრინდელი წლის შედეგს სჯობს. შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით მიღებულია სამრეწველო პროდუქციის მატების 82** მანეთით შეამცირა). **აქტივზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ საწარმოთა ჩამორჩენის, სახელშეკრულებო ვალდებულებათა დარღვევის, გეგმების კორექტირების გამართლებას ეგრეთ წოდებული „ობიექტური მიზეზებით“, მეტწილად საფუძველი არა აქვს.** ძირითადი მიზეზი თვით წარმოებისა და შრომის დაბალ ორგანიზაციაში, არსებული რესურსების არასაკმაოდ ეფექტიან გამოყენებაში, შრომითი დისციპლინის დაბალ დონეში უნდა ვეძებოთ.

ახლახან სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საკავშირო პროფსაბჭომ მიიღეს ერთობლივი დადგენილება „სახალხო მეურნეობაში შრომის დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისა და კადრების დენადობის შემცირების შესახებ“.

ხუთწლედის დამამთავრებელ წელს, როცა ასეთი დაძაბული საწარმოო პროგრამა გვაქვს შესასრულებელი, როცა ასე გართულდა სამეურნეო კავშირები, **როკლიმატი, რომელმაც მიმზიდველი უნდა გახადოს შრომა.**

დადგენილების ყურადღების ცენტრშია ახალბედებთან მუშაობის გაუმჯობესების, დამრიგებელთა მოძრაობის განვითარების, შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების კოლექტიურ ფორმებზე გადასვლის მიზანშეწონილობის, მოწინავეთა გამოცდილების უნარიანად გავრცელების საკითხები. შევნიშნავთ, რომ ამ თვალსაზრისით საგანგებო ყურადღებას ამსახურებს თბილისის 1 მაისის სამკერვალო ფაბრიკის გამოცდილება, სადაც წარმატებით ინერგება მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების კომპლექსური სისტემა. ამ სიახლის განზოგადებას ყოველნაირად უნდა შევეწყოთ ხელი.

რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე აღინიშნა, რომ 1980 წელი უნდა გახდეს წარმოების რეზერვების დათვალიერების, მათი უსწრაფესად ამოქმედების წელი; იმისათვის, რომ რეზერვი ამოქმედდეს, ზუსტად უნდა იცოდე, სად რამდენი იკარგება. **საწარმოთა მნიშვნელოვან ნაწილში შიდასაწარმოო რეზერვების გამოვლენას ხელს ისიც უშლის, რომ საწარმოთა ხელმძღვანელმა აპარატმა, ეკონომიკურმა და საინჟინრო პერსონალმა ზოგჯერ არც იცის ამ რეზერვების არსებობის შესახებ. არაღა, თუ რეზერვი არსებობს, მისი გამოუყენებლობა არავის ეპატიება.**

ხუთწლედის დამამთავრებელ წელს ვალდებულება მარტო ფარატინა ქაღალდად, შეუსრულებელ პირობად არ უნდა დარჩეს არც ერთ საწარმოში, სახალხო მეურნეობის არც ერთ უბანზე. წლის პირველი დღეები განსაკუთრებით პასუხსაგები ეტაპია თითოეული დარგის, თითოეული საწარმოსათვის. საქმე ის არის, რომ წლის დასაწყისიდან აღებული ტემპი მნიშვნელოვანწილად განაპირობებს შემდგომი პერიოდის წარმატებებს. არც ერთი დღის დაკარგვა მომდევნოს არ უნდა დადავიანოთ, რაოდენობაზე ზრუნვისას პროდუქციის ხარისხი უყურადღებოდ არ უნდა დაგვრჩეს, პროდუქციის რეალიზაციის დავალება, როგორც წესი, სამეურნეო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად უნდა სრულდებოდეს.

ერთიც. **საწარმოთა მიერ 1980 წლისათვის აღებულ სოციალისტურ ვალდებულებებში რატომღაც ნაკლები ყურადღება ეთმობა ხარისხისწინაშნიანი პროდუქციის ხვედრითი წილის გაზრდას, სახელშეკრულებო ვალდებულებათა დაცვის, შრომითი დისციპლინის განმტკიცების საკითხებს. ამ ვალდებულებებიდან მკაფიოდ არ მოჩანს, რომ საწარმოო კოლექტივი სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის ღონისძიებებს წლეულს ნაწილობრივ მაინც დანერგავს.**

პირდაპირ უნდა ვთქვათ: დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალ მეთოდზე გადასვლისათვის საჭირო მოსამზადებელ პერიოდს ჯერ კიდევ სათანადოდ არ ვიყენებთ. სამინისტროები და უწყებები სათანადო ინსტრუქციას არ უტარებენ საწარმოებს, არ ამარაგებენ მათ საჭირო მეთოდიკური მასალებით, არ აძლევენ ზუსტ ორიენტირს. თავის მხრივ, საწარმოებიც არ იჩენენ ინიციატივას, არ სწავლობენ მოწინავეთა გამოცდილებას, არ ამუშავებენ და კონკრეტულ პირობებს არ უსადაგებენ ეკონომიკურ პერიოდიკაში უკვე გამოქვეყნებულ ინსტრუქციულ მასალებს. ამ საქმის სახვალეოდ გადადება კი ნიშნავს ჩამოვრჩეთ დროის მოთხოვნას, ვერ ვგრძნობდეთ ხვალინდელი დღის სუნთქვას.

დიახ, სწორედ პრაქტიკული საქმეებით, ხუთწლედის დამამთავრებელი წლის პრობლემათა სწორი გაგებით და სიახლეთა ათვისებისაკენ სწრაფვით უნდა გამოიჩინოს თავი თითოეულმა საწარმოო კოლექტივმა, თითოეულმა მუშაკმა. მეათე ხუთწლედს ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედად მხოლოდ გმირული შრომა, უზადო დისციპლინა და პასუხისმგებლობა გადააქცევს!

ზ. კაციაშვილი,
გაზეთ „კომუნისტის“ ეკონომიკური მიმომხილველი.

ჩვენი ეკონომიკური მიმოხილვა

● ● ●

ახალი ტექნიკური აბრეშუმი

ქუთაისურ აბრეშუმზე

● ● ●

ბუნებრივ გამოცანებზე

ბ. ბ. ბ.

ბ. ბ. ბ.

**ბ. ბ. ბ.

1980
24
თებერვალი
საბჭოთა
არჩევნების
დღე

ნდობა და დაფასება

მიმდინარეობს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება

გორი. სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ანალიზსელსაწყოს“ გორის საკალმი ქარხნის ზეინკალი **სულიკო მათეს ძე ბლუაშვილი** დაასახელეს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ გორის № 118 26 კომისრის საარჩევნო ოლქში ამ ქარხნის მშრომელთა საერთო კრების გადაწყვეტილებით.

ბურჯანალი. სოფელ ედელისციხის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ მშრომელებმა თავიანთ საარჩევნო კრებაზე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად გურჯაანის რაიონის № 195 ედელისციხის საარჩევნო ოლქში დაასახელეს „საქსასოფლტექნიკის“ თავმჯდომარე **დავით ეფრემის ძე სარიშვილი.**

ზესტაფონი. ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის უფროსი მლოდელი **გიორგი ვალერიანის ძე კობახიძე** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს ზესტაფონის რაიონის № 235 ლენინის საარჩევნო ოლქში ამ საწარმოს მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა საარჩევნო კრების გადაწყვეტილებით.

ახაშა. სოფელ ნორიოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში გამართულმა საარჩევნო კრებამ დაადგინა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ახაშის № 318 საქალაქო საარჩევნო ოლქში დაასახელებინათ საქართველოს კომპარტიის ახაშის რაიკომის პირველი მდივანი **გურამ დავითის ძე მგელაძე.**

დმანისი. განთიადის მეტალურგიობა-მეტალოფილეობის საბჭოთა მეურნეობის მოწინავე მექანიზატორი **ეთერ ვასილის ასული დევნოზაშვილი** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს დმანისის რაიონის № 152 განთიადის საარჩევნო ოლქში ამ საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე.

ჩოხატაური. სოფელ შუა განახლების კ. მარქსის სახელობის კოლმეურნეობაში გამართული საარჩევნო კრების მონაწილეებმა მიიღეს გადაწყვეტილება რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 304 ჩოხატაურის საარჩევნო ოლქში დაასახელებინათ საქართველოს სსრ ავშირგამზეურობის მინისტრი **ვლადიმერ ილიას ძე კობახიძე.**

წყალტუბო. საქართველოს მწვანილეულობათა კავშირის გამგეობის მდივანი **გიორგი ვიქტორის ძე ფორფოლიანი** რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს წყალტუბოს № 271 საქალაქო საარჩევნო ოლქში კურორტ წყალტუბოს სანატორიუმ „მეშახტის“ თანამშრომელთა კოლექტივის საარჩევნო კრებაზე.

დუშეთი. სოფელ მაღაროსკარის კოლმეურნეობის მშრომელთა საერთო კრებამ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დუშეთის რაიონის № 190 ყინვალის საარჩევნო ოლქში დაეასახელებინათ ამ მეურნეობის მეღორეობის ფერმის მუშა **როზა გიორგის ასული ბაიაშვილი.**

გარდაბანი. გამარჯვების მეფრინველეობის ფაბრიკის კოლექტივმა თავის საარჩევნო კრებაზე დაადგინა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად გარდაბნის რაიონის № 97 აღთაღლის საარჩევნო ოლქში დაასახელებინათ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მოადგილე წარმომადგენელი სსრ ავშირის მინისტრთა საბჭოში **თეიმურაზ შალვას ძე ხაჩიძე.**

საჩხერე. ყორბოღოლის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის მშრომელებმა საჩხერის სამეურნეობათშორისო საწარმოს მოწინავე მუშა **თამარ ნიკოლოზის ასული ნოზაძე** დაასახელეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად საჩხერის რაიონის № 251 ყორბოღოლის საარჩევნო ოლქში.

ხობი. ხეთის დაფნისა და მექანიზაციის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეებმა თავიანთ საარჩევნო კრებაზე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 326 ხობის საარჩევნო ოლქში დაასახელეს „საქმთავარწყალმშენის“ სამმართველოს უფროსი **ანზორ გერონტის ძე მუსერიძე.**

თბილისი. „თბილისგ

აქტიური პოზიციისა და პროფესიული დაოსტატებისათვის

თბილისის ჟურნალისტთა მეექვსე საქალაქო კონფერენცია

16 იანვარს გაიმართა თბილისის ჟურნალისტთა მეექვსე საქალაქო კონფერენცია, რომლის დელეგატებმა განიხილეს პრესის, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის მუშაკთა ამოცანები სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა, „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განხორციელების საქმეში.

შეკრებილთა ტაშის გრიალში კონფერენციის საპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლტბიუროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

კონფერენციის მონაწილეებმა მოისმინეს საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის თბილისის საქალაქო განყოფილების ბიუროს თავმჯდომარის, გაზეთ „თბილისის“ რედაქტორის ნ. ჯაშის ანგარიში და სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის, გამომცემლობა „ხელოვნების“ მთავარი რედაქტორის მოადგილის გ. ბოჯგუას მოხსენება.

კამათში მონაწილეობდნენ გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორის მოადგილე ლ. კიკნაძე, საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის გაცვლითი გადაცემების მთავარი რედაქტორი ლ. მაჩაიძე, გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის“ განყოფილების გამგე ნ. ნაცვლიძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის კათედრის დოცენტი რ. დვალიშვილი, გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ განყოფილების გამგე მ. ინასარიძე, მრავალტირაჟიანი გაზეთის „ელმავალმშენებლის“ რედაქტორი ქ. ტაბატაძე, გაზეთ „ლენინსკოე ზნამიას“ ჟურნალისტთა პირველადი ორგანიზაციის მდივანი ვ. სოროკინი.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორმა გ. ბედნიერიშვილმა.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მეორე მდივანი ნ. გურგენიძე.

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის თბილისის საქალაქო განყოფილების ბიუროს თავმჯდომარედ კვლავ აირჩიეს გაზეთ „თბილისის“ რედაქტორი ნ. ჯაში, პასუხისმგებელ მდივნად — ლ. კობახიძე, სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ — გამომცემლობა „ხელოვნების“ მთავარი რედაქტორის მოადგილე გ. ბოჯგუა.

(საინფორმ).

ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

გაუმარჯოს იადონს!..

ინგლისელები ამბობენ, ჩემი სახლი ჩემი ციხესიმაგრეაო.

ჩვენში, ვინც ახალაშენებულ სახლებში ცხოვრობთ, „სიმაგრეს“ ვერ დავიკვეხნით, მაგრამ — „ციხე?...“ ციხე რატომაც არა!

„ნისლიანი ალბიონის“ მცხოვრებნი „სახლში“, უსათუოდ ოჯახს გულისხმობენ, ოჯახი კი, ჩვენში გავრცელებული გამოთქმა რომ ვიხმაროთ ხრამია — რაც უნდა ჩაყარო, ვერ ამოავსებ.

მოდი ახლა და არკვიე, ვისთვის ხრამია ოჯახი და ვისთვის ციხესიმაგრე!

ზოგისთვის ოჯახი არც ხრამია და არც ციხესიმაგრე. მათი ჭირით ოჯახი — ეს არის ოთახები, ჭალები, კარადები, სერვანტები, ტელევიზორები, სუფრები, ხალიჩები, ბრილიანტები... კარადა ჩარაზული კარები, მანქანა და აგარაკი! ერთი მოსამსახურე, ერთი ცოლი, ერთი კონსერვატორიაში და ერთი სამედიცინოზე მოწყობილი შვილები, ოჯახის თითო წევრს მინიმუმი თითო საყვარელი!

მე თავად ოჯახი არც ხრამად მიმაჩნია და არც ციხესიმაგრედ. მაგრამ ვერც იმას ვიტყვი ვითომც სამოთხე და ედემის ბაღი იყოს.

ამაში რომ დაგარწმუნოთ, ჩემი ცხოვრების მარტო ერთი დღის ამბავს მოგიყვებით. დღეს სახლის კიბეებს რომ შეეფეთები, მაშინვე გამახსენდა, რომ ცოლმა დამბარა: სახლმმართველობაში დარეკე, სანტექნიკოსი გამოიძახე, მე ვრეკავ, მაგრამ ქალს ხმას არაფრად აგდებენო. მე კი ცოლის დავალება დამავიწყდა.

აფთიაქში გამოიარე — ერითრომიცინი იყიდეო — დამავიწყდა! პური წამოიღეთანეო — დამავიწყდა!

ცირკი იქნება! — გავიფიქრე, გასაღები კარს მოვარაგე და ქორდით ფეხაკრეფით შევედი. შევედი თუ არა...

— ფეხები!... ფეხები!.. — შემომესმა ცოლის მეექვსე ხმა. იგი ძირს იყო გართხმული და იატაკს ისე გაბრაწებით ხეხავდა, მიეხვდი, სკოლაში იყო ნამყოფი ჩვენი შვილის ამბის გასაგებად.

— ფეხები... ფეხები!.. — კვლავ დაიყვირა მან და მერე მწყრალად და მრავალმნიშვნელოვნად შემომაჩერდა. სანტექნიკოსი, ერითრომიცინი და პური მე კი დამავიწყდა, მაგრამ ამას არ დავიწყებია და, რა თქმა უნდა, ვაგვპასუხე, საკადრისი მივიღე და წინდებისამარა სამზარეულოში შევედი...

ნინელის — ჩემ ცოლს, ხვიფილი გადასდიოდა, სიბრაზემ ჩანს, ჯანი შემატა. მე კი იმაზე ვფიქრობდი, რა კარგია, რომ ჩვენმა პრესამ, რადიომ და ტელევიზიამ, ოჯახის სიმყუდროვეზე, სიწმინდეზე, ტაბლილ ურთიერთობაზე წამოიწყეს ლაპარაკი.. ზოგი ხუმრობით, ზოგი სერიოზულად მოუწოდებს ჩვენს საზოგადოებას შეხმატკბილებული და მხიარული ოჯახური ურთიერთობისაკენ!

ორი რამ მინდოდა მეთქვა ოჯახობისათვის: ერთი ის, რომ პრემია ჩვენი განყოფილებიდან მმართველის ბიძაშვილს მისცეს, მაგრამ გადავიფიქრე: აბა, შენწყინს... კინრას მისცემსო, მეტყოდა, (წინასწარ ვიცი პასუხი) და მეორე ის, რომ მშვენიერი გადაცემებია ოჯახზე ეს „მოკისკისე ტელეები!“..

ამ დროს რაღაც საშინელი ბრაგვანი შემომესმა.

დაგ... დაგ... დაგ... დაიძახა საბრეცხის მანქანამ და გაჩერდა!

— გადაიწვა, ციცხლში დაიწვა ჩემი ბედიც და ამის გამომშვებიც! — თქვა იატაკზე გართხმულმა ცოლმა.

— მოდი, ჩემო კარგო!.. ამბავს გიტყვი ახალს!.. — ვთქვი მე, ვითომ ახალი გალანძღული არ ვყოფილყავი, მან კი გამაჩუმა და თავის ამბავი წამოიწყო:

— კოლმეურნეობის მოედანზე ვიყავი „აინას“ საყიდლად, ვიყიდე. „ნოვოსტი“ კი ჩემს ცხვირწინ გათავდა. სარეცხი სოდა და პირსოლი ძლივს მოვთრაქე!.. მერე სკოლაში წავედი: შენი შვილი შენ გავს, ცრეტინი, თორემ მე ოჭროს მედალზე დავამთავრე!..

— ნინელი, საინტერესო ამბავი უნდა გითხრა, — მინდა შეგაწყვეტინო, ის კი თავისას ურაკუნებს!

— რემონტის ხელოსანი იყო, ისეთი ფასი თქვა, ბავშვიც რომ გავყიდოთ, ვერ გადაიხდით.

— მომისმენე...

— იცოდე, ეგ შენი ინაპარტალა და გაიხუმე!

— ნინელი!..

